



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 იანვარი 2024



N 38/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა №5-ში შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ მყარი კაუსტიკური სოდის გათხევადების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა №5-ში მყარი კაუსტიკური სოდის გათხევადების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა №5-ში, შპს „კანოს“ საკუთრებაში არსებულ, 27 745 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 02.05.03.704) განთავსებული შენობის ნაწილში (დაახლოებით 800 მ<sup>2</sup>), რომლით სარგებლობაზეც კომპანიის მიერ გაფორმდება იჯარის ხელშეკრულება. საპროექტო საწარმოს GPS კოორდინატებია: X-502622 Y-4600299; X-502592 Y-4600330; X-502604 Y-4600343; X-502634 Y-4600312. საწარმოს შენობიდან (ნულოვანი გაფრქვევის წყარო) უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მეტრში, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტი - ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 500 მეტრში. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია განთავსებულია სამრეწველო ზონაში და მის მიმდებარედ ფიქსირდება სხვადასხვა სამრეწველო ობიექტები, კერძოდ, იმავე მიწის ნაკვეთზე არსებულ ერთ-ერთ შენობაში მოწყობილია შპს „კანოს“ ლითონკონსტრუქციების ქარხანა, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, მდებარეობს შპს „ჯეო-ფილერის“ მინერალური შემავსებლის დამამზადებელი ობიექტი, შპს „ფერო ელოს ფროდაქშენის“ ფოლადის სადნობი საწარმო, შპს „ვესტას“ და სს „სარინის“ ლითონის ნაკეთობათა საწარმოები, შპს „მშენმექანიზაციას“ მძიმე ტექნიკის იჯარით გაცემის ობიექტი, შპს „სტანდარტცემენტის“ ცემენტის საწარმო და სს „ყაზბეგის“ ლუდის და უალკოჰოლო სასმელების ქარხანა, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. საპროექტო მიწის ნაკვეთი წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამრეწველო დანიშნულებით და ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ტიპური ანთროპოგენური ლანდშაფტი. მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი დაფარულია ბეტონის საფარით, შემოფარგლულია კაპიტალური ღობით და მასზე ხელოვნურად გაშენებულია ხე-

მცენარეები. შენობის პერიმეტრი დაცულია გარეშე პირთა მოხვედრისაგან. საწარმოს ტერიტორიამდე მისვლა შესაძლებელია რუსთავი-ჯანდარას საავტომობილო გზის გამოყენებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში გათვალისწინებულია მყარი კაუსტიკური სოდის გათხევადება. ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობები, მათ შორის ნედლეულის საცავი, განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ შენობაში, ხოლო გარე პერიმეტრზე მოეწყობა მზა პროდუქციის საცავი და წყლის გამაგრილებელი სისტემა. საწარმოს მოსაწყობად შერჩეულ შენობაზე, ოთხივე მხრიდან, სახურავსა და კედლებს შორის, განთავსებულია ბადე, შესაბამისი ღიობებით, რაც უზრუნველყოფს ობიექტის ბუნებრივ ვენტილაციას. ამასთან, შენობის ერთ მხარეს მოწყობილია ღია შესასვლელი, რაც ვენტილაციის დამატებითი წყაროა. საწარმოში განთავსდება ორი იდენტური ტექნოლოგიური ხაზი, რომლებიც აღიჭურვება: 2 ერთეული დახურული უჟანგავი ფოლადის მიქსერით, 2 ერთეული მყარი კაუსტიკური სოდის გათხევადებისათვის განკუთვნილი ლითონის უჟანგავი ავზით (თითოეული 100 ტონა), 2 ერთეული გათხევადებული კაუსტიკური სოდის ცირკულაციის ცენტრიდანული ტუმბოთი და 1 ფილტრით. შენობის გარეთ გათვალისწინებული წყლის გაგრილების სისტემა წარმოდგენილი იქნება 2 ერთეული წყლის გამაგრილებელი კომპურითა და 2 ერთეული ცენტრიდანული წყლის ცირკულაციის ტუმბოთი, ხოლო მზა პროდუქციის საცავი – 2 ერთეული, ჯამურად 200 მ<sup>3</sup> მოცულობის ავზით. აღნიშნული საცავი განთავსდება მობეტონებულ ტერიტორიაზე, რომლის ირგვლივ, ავარიულად დაღვრილი სითხის შეგროვების მიზნით, მოეწყობა შემკრები არხი. აღნიშნული არხი უზრუნველყოფს როგორც ავარიულად დაღვრილი გათხევადებული კაუსტიკური სოდის, ისე საცავის ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი წყლის შეკრებას, რომელიც დაგროვდება 100 ლიტრი ტევადობის მიწისქვეშა საცავში, საიდანაც ტუმბოს საშუალებით გადაიტვირთება ჯერ 1000 ლიტრი ტევადობის მქონე პლასტმასის ავზში, ხოლო შემდეგ – შემრევებში (ტექნოლოგიურ ციკლში). მყარი კაუსტიკური სოდის გათხევადებისათვის განკუთვნილი ავზები (შემრევები) და გათხევადებული კაუსტიკური სოდის ავზები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება უჟანგავი ფოლადის მილებით. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ტექნოლოგიურ პროცესში წყლის გათბობის მიზნით გათვალისწინებულია საქვაზე დანადგარის (30-40 მ<sup>3</sup>/სთ) მოწყობა, რომელიც იფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე. გათხევადებული კაუსტიკური სოდის წარმოების პროცესში ნედლეულად გამოყენებული იქნება 99,3%-იანი, გრანულირებული კაუსტიკური სოდა (E 524), რომელიც საწარმოს ტერიტორიაზე შეიზიდება 25 კგ-იან პოლიეთილენის პარკებში ან/და 1,5 ტონიან ე.წ. „ბიგ ბეგებში“ დაფასოებული სახით და განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ ბეტონის ტენგაუმტარი ზედაპირის მქონე საცავში. აღნიშნული საცავი ჩაიკეტება და მისი გაღება მოხდება მხოლოდ ტექნოლოგიური პროცესის დაწყების წინ, რა დროსაც საჭირო რაოდენობის პარკები/ტომრები განთავსდება გათხევადებისათვის განკუთვნილ ავზთან, რის შემდგომაც საცავი დაიკეტება მომდევნო ტექნოლოგიური პროცესის დაწყებამდე. საწარმოო პროცესი დაიწყება კაუსტიკური სოდის გრანულების მიქსერის ავზში მოთავსებით, რის შემდგომაც დაემატება წყალი, დაიხურება ჰერმეტიულად და მიქსერის მოქმედებაში მოყვანით, დაიწყება ნარევის მორევა. აღნიშნული პროცესი გრძელდება დაახლოებით 4 საათის განმავლობაში. გათხევადებული კაუსტიკური სოდის წარმოებისას ადგილი ექნება სითბოს გარკვეული რაოდენობის გამოყოფას, რისთვისაც გათვალისწინებულია გაგრილების სისტემა. შერევის

შედეგად მიიღება კაუსტიკური სოდის წყალთან გაჯერებული ნაერთი, რომელიც წარმოადგენს საბოლოო პროდუქტს – გათხევადებულ კაუსტიკურ სოდას. მიღებული პროდუქტი, შემოწმების მიზნით, გაიგზავნება შესაბამის ლაბორატორიაში, ხოლო ხარისხის დამოწმების შემდგომ, ტუმბოს საშუალებით, განთავსდება პროდუქციის საცავში. მიღებული პროდუქცია საწარმოდან გატანილი იქნება ყოველდღიურად, ცისტერნებიანი ავტოტრანსპორტის საშუალებით. საწარმოში წლის განმავლობაში დაგეგმილია 72 000 ტონა გათხევადებული კაუსტიკური სოდის წარმოება, რისთვისაც გამოყენებული იქნება 36 000 ტ/წელ გრანულირებული კაუსტიკური სოდა და 36 000 ტონა წყალი. საწარმო იმუშავებს წელიწადში 355-360 დღე, 24 საათიანი რეჟიმით და დასაქმდება 20 ადამიანი. დოკუმენტის თანახმად, გათხევადებული კაუსტიკური სოდის წარმოება მოხდება მხოლოდ შეკვეთის შემთხვევაში. ნედლეულის და პროდუქციის ობიექტზე შეტანა-გატანისთვის გათვალისწინებულია დღეში 2-3 სატრანსპორტო ოპერაცია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს მოწყობა არ უკავშირდება მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. გათხევადებული კაუსტიკური სოდის წარმოებისათვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობების საწარმოს ტერიტორიაზე შეტანა მოხდება მზა სახით და განხორციელდება მცირე სამონტაჟო სამუშაოები, რისთვისაც გათვალისწინებულია დაახლოებით 3-4 კვირა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით წყალმომარაგება გათვალისწინებულია ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში. ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, საწარმოო პროცესში ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ხოლო, ვინაიდან, ტექნოლოგიური ციკლი განხორციელდება დახურულ შენობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს მოწყობის სამუშაოების მცირე მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ობიექტის მოწყობა დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოო პროცესში ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნატრიუმის ჰიდროქსიდის, აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის ოქსიდის წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში წარმოდგენილია საქმიანობის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს მიმდებარედ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედების გამომწვევი ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტი არ ფიქსირდება და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული ფონური კონცენტრაციების მაქსიმალური მნიშვნელობები ქ. რუსთავისთვის. საწარმოდან მავნე ნივთიერებათა გაბნევის შედეგების მიხედვით, ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები, როგორც უახლოეს მოსახლესთან, ისე 500 მეტრიანი რადიუსის

საზღვარზე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს მოწყობის ეტაპი მოიცავს ტექნოლოგიური დანადგარების სამონტაჟო სამუშაოებს, რაც გაგრძელდება მცირე პერიოდის განმავლობაში და დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. რაც შეეხება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურისა და ვიბრაციის წარმოქმნის ძირითადი წყაროები იქნება ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დოკუმენტის თანახმად, ტექნოლოგიური ციკლის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება მინიმალურია, ვინაიდან, ტექნოლოგიურ ციკლში გათვალისწინებული დანადგარ-მექანიზმები განთავსებული იქნება კაპიტალურ, დახურულ შენობაში, ხოლო პროდუქციის შეტანა-გატანისთვის გათვალისწინებულია დღეში მხოლოდ 2-3 სატრანსპორტო ოპერაცია.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მყარი კაუსტიკური სოდის გათხევადების ტექნოლოგიური პროცესი არ არის დაკავშირებული საწარმოო ნარჩენების წარმოქმნასთან. ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად მოსალოდნელია მუნიციპალური ნარჩენების და ასევე, ნედლეულის ტომრების წარმოქმნა. მუნიციპალური ნარჩენები გატანილი იქნება ქ. რუსთავის ნაგავსაყრელზე, ხოლო ნედლეულის ტომრები დაუბრუნდება მიმწოდებელ კომპანიას. გათხევადებული კაუსტიკური სოდის ავარიულად დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი სითხე დაიფარება ქვიშით (საწარმოს ტერიტორიაზე მუდმივად იარსებებს ქვიშის მარაგი), რის შემდგომაც შეგროვდება ტარაში და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში მსგავსი პროფილის საწარმოო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობა არ არის დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში არსებულ კაპიტალურ შენობაში. შესაბამისად, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, წარმადობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, დაგეგმილი

საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა №5-ში შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ გათხევადებული კაუსტიკური სოდის საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკო“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რუსთავის ქიმიური საწარმო სოდაკოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

